ო, ალლაჰ! ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ საიქიო ცხოვრებაა, ამიტომ მიუტევე ანსარებს და მუჰაჯირებს

ანას ბინ მალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ო, ალლაჰ! ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ საიქიო ცხოვრებაა, ამიტომ მიუტევე ანსარებს და მუჰაჯირებს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ საიქიოშია, ალლაჰის კეთილგანწყობაში, მის წყალობასა და სამოთხეში, რადგან ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია, ხოლო საიქიო ცხოვრება მარადიული და სამუდამო, შემდეგ მან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დუა გააკეთა ანსარებისთვის, რომლებმაც თავიანთ მიწაზე შეიფარეს მოციქული და მუჰაჯირები, მხარი დაუჭირეს მათ და თავიანთი ქონება გაუყვეს, ასევე მუჰაჯირებისთვის, რომლებმაც ალლაჰის წყალობის და მის კეთილგანწყობის საძიებლად დატოვეს თავიანთი სახლები და ქონება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3773

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee